ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 5

ქ. თბილისი

02.05.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

4. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

5. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის მდივანი;

6. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

7. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

8. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

9. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

რამაზ გიუნაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს NK

ედვარდ კაკაბაძე - სკოლის წარმომადგენელი

ლევიძე ნატო - სკოლის წარმომადგენელი

2. შპს ოაზისი

ნაირა დოლიძე - დამფუძნებელი

მანანა დოლიძე - დირექტორის მოადგილე

3. შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმი

ინეზა იამანიძე - სკოლის წარმომადგენელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

კახა ჟღენტი

ლელა ფიცხელაური

იანინა გიგიბერია

ცირა ნიკოლაშვილი

ნელი ნასყიდაშვილი

ლიანა კობესაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

სხდომა გაიხსნა 17:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს NK-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს ოაზისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

3. შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს NK-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა, თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, კახა ჟღენტმა და ლელა ფიცხელაურმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1 ექსპერტ კახა ჟღენტის განცხადებით, სკოლას გააჩნდა ხარვეზები მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან მიმართებით. ექსპერტის თქმით, სკოლას შეძენილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობები (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის), რომელიც ლაბორატორიული კაბინეტის არარსებობის გამო განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში, კარადებში. გამოკითხვებით დადგინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი გამოყენება ხდებოდა კლასებში.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობა შეიცავდა ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და მათი ბიბლიოთეკაში დასაწყობება საფრთხის შემცველი იყო მოსწავლეებისთვის. ასევე, ლაბორატორიაში აუცილებელი იყო გამწოვისა და ონკანის არსებობა.

სკოლის წარმომადგენელმა თქვა, რომ ისინი არ იყენებდნენ ცდებისთვის ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთერებებს, ხოლო ლაბორატორია დასაწყობებული იყო ბიბლიოთეკაში არსებულ ჩაშენებულ კარადაში, რომელიც მუდმივად ჩაკეტილი იყო.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ ეს განცხადება ვერ იქნებოდა გარანტი იმისა, რომ მომავალში ცდებისთვის არ გამოიყენებდნენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს.
საბჭოს წევრებმა სკოლის წარმომადგენლებს მიმართეს, რომ აუცილებლად უნდა მოეწყოთ სტანდარტის შესაბამისი ლაბორატორია.
ექსპერტმა, კახაბერ ჟღენტმა განაცხადა, რომ სკოლის მესამე სართულზე იყო ერთი ცეცხლმაქრი, ხოლო მეოთხეზე - ორი. ისინი განთავსებული იყო საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, მაგრამ რაოდენობრივად 1 ერთეულით არ აკმაყოფილებდა გეგმით განსაზღვრულ ნორმას. ცეცხლმაქრების ექსპლუატაციის ვადა ამოწურული იყო და საჭიროებდა ხელახალ დამუხტვას.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული იყო და საბჭოზე წარმოადგინეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტ კახა ჟღენტის განცხადებით, სკოლაში ირიცხებოდა 3 უცხო ქვეყნის, კერძოდ ირანის მოქალაქე. მოსწავლეების მიღება სკოლაში მოხდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისობის დადგენისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავდა მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალს, რომლის დაძლევაც მოუწევდათ მოსწავლეებს 2017-18 სასწავლო წლის დასრულების შემდეგ.
საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ წარმოადგინეს ექსპერტების ვიზიტის დროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არასრულყოფილად.
სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტალურად არ ხდებოდა საქმის წარმოება, პრაქტიკულად ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობა ხარისხიანად ხორციელდებოდა. თუმცა სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დოკუმენტურად გამართული იყო.
ექსპერტმა, კახა ჟღენტმა განაცხადა, რომ სკოლაში სულ 35 პედაგოგი იყო. სკოლის მასწავლებლები შერჩეული იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ,,21³" მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნით და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდებოდა მათი კომპეტენციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. გამონაკლისს წარმოადგენდა ისტ-ის მასწავლებელი, რომელსაც არ ჰქონდა უმაღლესი განათლება, ხოლო ხელოვნებისა და ბიოლოგიის მასწავლებლები არ აკმაყოფილებდნენ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და

კარიერული წინსვლის სქემის“ მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ხელოვნებისა და ბიოლოგიის მასწავლებლებს არ ჰქონდათ ჩაბარებული საგნობრივი კომპეტენციის დამდასტურებელი გამოცდა. მათ უმაღლესი განათლების დიპლომით არ ჰქონდათ მინიჭებული მასწავლებლის კვალიფიკაცია და საჭიროებდნენ მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლას.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ ასწავლიდნენ მასწავლებლის კვალიფიკაციის არ მქონე პედაგოგები სკოლაში.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ზემოაღნიშული საგნების მასწავლებლებმა დატოვეს სკოლა. დაწესებულებამ გამოაცხადა ვაკანსია, ხოლო სასწავლო პროცესის გაგრძელების მიზნით სკოლამ დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე აიყვანა ზემოთ ნახსენები პედაგოგები, თუმცა ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა რატიანმა საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ დაწესებულებისთვის განესაზღვრათ 30 კალენდარულ დღიანი ვადა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისი ლაბორატორიის მოსაწყობად და მტკიცებულებების საბჭოზე წარმოსადგენად. შესაბამისად საკითხის განხილვა გადაიდო მიცემული ვადის ამოწურვამდე.

2. შპს ოაზისში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, იანინა გიგიბერიამ და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1. ექსპერტ იანინა გიგიბერიას განცხადებით, დაწესებულების მისია შეესაბამებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიის მიხედვით, სკოლისათვის პრიორიტეტული იყო ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებების მქონე თავისუფალი პიროვნების აღზრდა.

სასკოლო სასწავლო გეგმა მიმართული იყო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამისი პიროვნების აღზრდისაკენ და თანხვედრაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლაში მოქმედებდა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო 2017 წლის 8 სექტემბერს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნის სახით მოსწავლეებისათვის შეთავაზებული იყო: რუსული ენა - მეორე კლასიდან. ასევე, გაზრდილი იყო ინგლისური ენის სწავლების კვირეული დატვირთვა მეხუთე - მეექვსე კლასებში. მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით. შემაჯამებელ დავალებას ახლდა სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება, შეფასების რუბრიკა,

სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ფუნქციონირებდა 5 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა-ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების, ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიური აღზრდის, უცხოური ენებისა და დაწყებითი კლასების კათედრები.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა კათედრის მუშაობის დებულება, სადაც გაწერილი იყო კათედრის ფუნქციები. კათედრების პორტფოლიოებში თავმოყრილი იყო საგნის თემატური გეგმები და კათედრების სხდომების ოქმები.

შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი და რეკომენდაციები. შემაჯამებელ დავალებებს ერთვოდა გასწორებული ტესტის ნიმუშები.

სკოლაში დამრიგებლები მუშაობდნენ დებულების შესაბამისად. თითოეულ დამრიგებელს ჰქონდა პორტფოლიო, რომელშიც ინახებოდა სადამრიგებლო პროგრამა. აღწერილი იყო სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები და ფუნქციები. სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებული იყო მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო საათის დროს განსახილველი თემები. პორტფოლიოში წარმოდგენილი იყო დამრიგებელთა ანგარიშები, რომელშიც აღწერილი იყო კონკრეტული სადამრიგებლო საათის მიზანი, თემა და მიღწეული შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. ექსპერტ იანინა გიგიბერიას განცხადებით, სკოლას გააჩნდა რამდენიმე ხარვეზი მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. კერძოდ, სკოლას შენობაში ჰქონდა ფართი, რომელიც განთავსებული იყო მეოთხე სართულზე და იყენებდნენ სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. ასევე, სასკოლო ღონისძიებების დროს გამოიყენებოდა სააქტო დარბაზად.

სკოლას შეძენილი ჰქონდა სპორტული ინვენტარი: ფრენბურთის და კალათბურთის ბურთები, ბაგირი, სავარჯიშო ლეიბები, მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, ჭადრაკის ინვენტარი, სავარჯიშო რგოლები.

სკოლის ეზოში იყო 242 კვ.მ ფართი, რომლით სარგებლობის თაობაზეც სკოლის ადმინისტრაციას ფართის მფლობელთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება. ამჟამად, აღნიშნული ფართის მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობაში გახსნილი იყო რკინის საამქრო და ფართი გამოყენებული იყო რკინის მასალისა და დამზადებული რკინის კონსტრუქციების

განსათავსებლად. ამის გამო, აღნიშნული ფართის სპორტულ მოედნად გამოყენება შეუძლებელი იყო.

სპორტის გაკვეთილები, ძირითადად ტარდებოდა მეოთხე სართულზე განთავსებულ ფართში და სკოლის მიმდებარედ არსებულ სპორტულ მოედანზე, რომელიც სკოლას არ ეკუთვნოდა. აღნიშნულ მოედანზე მოსახვედრად მოსწავლეებს უწევდათ სკოლის ტერიტორიის დატოვება.

სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობების (ფეხბურთი და კალათბურთი) სწავლება შეუძლებელი იყო სკოლის სარგებლობაში არსებულ ფართებზე.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალურ სპორტულ მოედანზე სპორტის გაკვეთილების მუდმივად ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან რიგ შემთხვევებში ის შესაძლოა დაკავებული ყოფილიყო.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, მოიჯარე მხარესთან მოხდა შეთანხმება, რის საფუძველზეც მოხდებოდა სტადიონის რკინის კონსტრუქციებისგან გათავისუფლება მალე ხანებში და სკოლა შეძლებდა სტადიონით სარგებლობას. მანამდე სკოლამ არსებული სპორტის სახეობები - კალათბურთი და ფრენბურთი ჩაანაცვლა ტანვარჯიშითა და მაგიდის ჩოგბურთით, რაც დასტურდებოდა პედსაბჭოს ოქმით.

ექსპერტის განცხადებით, საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში განთავსებული იყო ინტერნეტში ჩართული 8 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი. სულ, მოსწავლეთა სარგებლობაში იყო 10 ერთეული. სკოლას, გადაწყვეტილებით N 55 (17.08.2016.), ავტორიზაცია მიენიჭა 256 მოსწავლეზე.

სკოლის დირექტორის და დირექტორის ორი მოადგილის კაბინეტებში განთავსებული იყო თითო პერსონალური კომპიუტერი (სულ 3), ხოლო ორი პერსონალური კომპიუტერი იყო ბუღალტრის კაბინეტში.

დაწესებულებაში ყველა სართულზე, წესების დაცვით, დამაგრებული იყო ცეცხლმაქრები. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ცეცხლმაქრების ნაწილის გადამუხტვის საჭიროება. დაწესებულების ადმინისტაციამ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა სახანძრო ცეცხლმაქრების დამუხტვისვისთვის გადახდილი თანხის ქვითარი.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა ექიმის დებულება - ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები. ექიმის პოზიციაზე დასაქმებული იყო სამედიცინო უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელიც დაწესებულებას ტოვებდა 14:00 საათის შემდეგ. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოყო ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეითავსებდა ექთნის ფუნქციებს.

შენობის სამივე სართულზე, წესების დაცვით, დამონტაჟებული იყო სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შიდა პერიმეტრის კონტროლს მე-2, მე-3 და მე-4 სართულებზე. შენობის პირველ სართულზე, რომელთაც სკოლა იყენებდა სკოლის სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე მოსახვედრად, მხოლოდ, გავლის უფლებით, დამაგრებული იყო 3 მეგაპიქსელიანი ვიდეოკამერა. ვიდეო კამერა აკონტროლებდა შემოსასვლელს და კიბის უჯრედის ნაწილს. პირველი სართულის იმ ნაწილით, რომელიც არ კონტროლდებოდა, სარგებლობდა შენობის მეპატრონე (ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა).

სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა სტანდარტის შესაბამისი 1 ვიდეოკამერა (3 მეგაპიქსელიანი), რომელიც სრულად ვერ უზრუნველყოფდა სკოლის ეზოს და შემოსასვლელი კიბეების კონტროლს. ასევე, კონტროლის მიღმა რჩებოდა ეზოს კუთხეში, თავღიად დარჩენილი, მანქანის შესაკეთებელი ორმო. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველეყოთ გარე პერიმეტრის სრული კონტროლი და უსაფრთხოების ზომების გაძლიერება. კერძოდ, მის საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა, ვინ აკონტროლებდა სკოლაში შესასვლელს. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლის შესასვლელს აკონტროლებდა დარაჯი და ასევე დაამატა, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტების რეკომენდაციები და მოხდა ეზოს გამიჯვნა და შემოღობვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ექსპერტ ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით, შპს კერძო სკოლა „ოაზისში“ იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში დასაქმებული იყო 28 პედაგოგი. 25 პედაგოგი ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. 22 პედაგოგს ჰქონდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, 3 პედაგოგი უფროსი მასწავლებელი იყო. სკოლაში დასაქმებულ სამ პედაგოგს არ ჰქონდა მინიჭებული მასწავლებლის სტატუსი.

სკოლას ჰყავდა 5 აღმზრდელ-მასწავლებლი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სკოლაში მოქმედ გახანგრძლივებულ ჯგუფებს.

მასწავლებლის სტატუსის არმქონე პედაგოგებიდან ერთი პედაგოგი შპს „ოაზისში“ დასაქმებული იყო 2017 წლის 15 ივნისიდან. მას დადასტურებული ჰქონდა საგნობრივი კომპეტენცია. ვიზიტის პერიოდში გადიოდა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მეორე პედაგოგი „ოაზისში“ დასაქმებული იყო 2016 წლის 6 სექტემბრიდან სპორტის პედაგოგად. ჰქონდა დიპლომით მინიჭებული

მწვრთნელ-მასწავლებლის კვალიფიკაცია ფეხბურთში. სკოლას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრისათვის წარდგენილი ჰქონდა მოთხოვნა სპორტის მასწავლებლის სქემაში ჩართვასთან დაკავშირებით და პასუხს ელოდებოდნენ. მესამე პედაგოგი დასაქმებული იყო ჭადრაკის პედაგოგად 2018 წლის 29 იანვრიდან. მას ჰქონდა ჭადრაკის ინსტრუქტორ-მწვრთნელის კვალიფიკაცია.

დაწესებულებაში შემუშავებული იყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.

სკოლაში იყო კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოაზისის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ოაზისის (ს/კ:209475735) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნელი ნასყიდაშვილმა და ლიანა კობესაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლი წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც არ იყო დამტკიცებული და ვიზიტის პირველ დღეს დაამოწმა სკოლის დირექტორმა ხელმოწერითა და ბეჭდით.

სკოლის შინაგანაწესის მეორე თავის

მუხლი 3-ის მე-4 , მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად, სასწავლო კვირა ხუთდღიანი იყო, სასწავლო პროცესი იწყებოდა 9:15 საათზე, გაკვეთილის ხანგრძლივობა იყო 45 წუთი, შესვენება გაკვეთილებს შორის 5 წუთი, დიდი დასვენება 10 წუთი, დასაქმებულები ვალდებულნი იყნენ სამუშაო დღეებში სკოლაში გამოცხადებულიყვნენ არაუგვიანეს 8 : 45 საათის. ვიზიტის დღეს სკოლის დირექტორმა ამ დანართს გაუკეთა წარწერა - „ავტორიზაციის გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც I სემესტრის ბოლოს გულისხმობს, იმის გამო, რომ მასწავლებლები დაკავებულები იყვნენ ძირითად სამსახურებში, აუცილებელი გახდა სასწავლო პროცესის დაწყება 12 საათიდან. ამასთან, ამის სურვილი გამოთქვეს გადმოსულმა მოსწავლეებმა და მშობლებმა."

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის გადაწყვეტილება გულისხმობდა მთელ 2017-2018 სასწ. წელს და არა I სემესტრის ბოლოს. ხოლო ვიზიტის დღეს, 10 : 00 საათზე სკოლა იყო დაკეტილი და სკოლის დირექტორთან სატელეფონო საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი სამშაბათ დღეს იწყებოდა 14:00 საათზე და ექსპერტებს ვიზიტის განხორციელება შეეძლოთ ამ დროიდან.

თუმცა, როგორც მე-12 კლასის მოსწავლემ, გასაუბრებისას აღნიშნა, მეცადინეობებზე მოდიოდა შეთანხმების მიხედვით და მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დღეს, ანუ სამშაბათს ის სკოლაში გამოცხადდა 12:00 საათზე, დაესწრო ჯერ ინგლისურში, ხოლო შემდეგ რუსულში საათნახევრიანი ხანგრძლივობის მეცადინეობებს, 16 : 00 საათზე იგი მიდიოდა ზოგად უნარებში მოსამზადებლად და ისევ უნდა დაბრუნებულიყო 17 : 00 საათზე სკოლაში ქართულის ორ მეცადინეობაზე დასასწრებად. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე გასაუბრებისას საუბრობდა მეცადინეობებს ცალკეულ საგნებში. მას არცერთხელ არ უხსენებია გაკვეთილი და სკოლა.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში ვიზიტისას ირიცხებოდა 2 მოსწავლე. ერთი მე-11 კლასელი და ერთი მე-12 კლასელი.

დირექტორის ბრძანებების წიგნიდან ირკვეოდა, რომ ბრძანება № 4- ის საფუძველზე ერთ-ერთ მოსწავლეს აღუდგა სტატუსი და სწავლა განაგრძო X კლასში მოსწავლის სტატუსის აღდგენის შემდეგ 2017 წლის 11 ოქტომბრიდან", ხოლო ბრძანება № 6 -ში კი იგივე მოსწავლესთან დაკავშირებით იკითხებოდა: „ამოირიცხოს X კლასის სიიდან მოსწავლე სხვა სკოლაში გადასვლასთან დაკავშირებით". მე-10 კლასის ჟურნალი საერთოდ არ მოიძებნა სკოლაში, აღნიშნული მოსწავლის ამ სკოლაში სწავლის შესახებ არანაირი სხვა ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი. დოკუმენტურად არ დასტურდებოდა მისი მე-10 კლასში სწავლა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, როდის მოხდა მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერება. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოსწავლეს 2016 წელს შეუჩერდა სტატუსი.

საბჭოს წევრის ხათუნა ბარაბაძის თქმით, არსებობდა ეჭვი, რომ მოსწავლეს სტატუსი შეუჩერდა იგივე ფართზე არსებული შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერისუბნის ლიცეუმის მიერ, რომელსაც ავტორიზაცია ამ დროისთვის შეჩერებული ჰქონდა, ხოლო მოსწავლის სტატუსი აღუდგინა შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმმა. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატუსის აღდგენა მოსწავლისთვის მოხდა ძველი სკოლის მიერ, თუმცა პრობლემას ვერ ხედავდა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რატომ ინახებოდა აღნიშნული ბრძანება შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის ბრძანებების წიგნში.

სკოლის წარმომადგენელმა ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ სკოლას ამის უფლება არ ჰქონდა.

ექსპერტის თქმით, სკოლაში ჩარიცხული 2 მოსწავლიდან მე-12 კლასელთან მოხდა გასაუბრება, ხოლო მე-11 კლასელ მოსწავლესთან ვერ მოხერხდა შეხვედრა. სკოლის დირექტორის განმარტებით ის იყო ავად. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა სამშაბათს ის მოსულა მხოლოდ ქართულის მეცადინეობაზე, სხვა მეცადინეობებს არ დაესწრო არც სამშაბათს და არც ოთხშაბათს. როგორც მისმა მშობელმა აღნიშნა, ბავშვი იყო ავად, მაგრამ ქართულში მეცადინეობა, რომ არ გაეცდინა ამიტომ მივიდა სკოლაში. მშობელთან ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ მის შვილს ყველა საგანში ჰქონდა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება. კერძოდ, ქართულში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, ქიმიაში. შემაჯამებლებს მოსწავლე წერდა ზოგჯერ ფურცელზე, ზოგჯერ რვეულში, რომლებიც ინახებოდა მასწავლებელთან.

2017-2018 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ I სემესტრის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. სკოლის დირექტორის განმარტებით კი შემაჯამებელი სამუშაოები არ ჩატარებულა არც ერთ კლასში და არც ერთ საგანში, არც ერთ მოსწავლესთან. ვიზიტის მეორე დღეს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების გრაფიკის მიხედვით, მასწავლებელებს შემაჯამებელი დავალებების დაწერა არ ევალებოდათ 21 მარტამდე. თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლის დირექტორის განკარგულებით, მასწავლებლებს დირექტორის ნებართვის გარეშე ეკრძალებოდათ შემაჯამებელი შეფასებების გაკეთება. შესაბამისად, რაც ჩატარდა, ის შემაჯამებლებიც არ იყო ჟურნალში დაფიქსირებული და არ იყო მიჩნეული შეფასებად. მშობლის განმარტებით, მას ტელეფონით ატყობინებდენ შვილის შეფასების შედეგების შესახებ და ის სავსებით კმაყოფილი იყო შეფასების შედეგებით.

ექსპერტის თქმით, სკოლაში 10 მასწავლებელი იყო, ამათგან ინტერვიურება ჩატარდა სკოლის 5 მასწავლებელთან: რუსული ენის, ინგლისური ენის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და ქიმიის პედაგოგებთან. სკოლაში არსებული შეფასების სიტემისა და შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ წარმოადგინეს. პედაგოგებმა აღნიშნეს,

რომ დოკუმენტაციას სახლში ინახავდნენ. ჟურნალებში მოსწავლეები არ იყვნენ შეფასებულები. ვიზიტის მეორე დღეს, მხოლოდ ერთ-ერთ საკლასო ოთახში იყო გამოკრული კედელზე შეფასების ზოგადი 5 კრიტერიუმი.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ძალიან ბევრი ხარვეზი იყო წარმოდგენილი.

სკოლის წარმომადგენელმა წამოდგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რადგან ექსპერტებმა არ მისცეს მას ინტერვიუებზე დასწრების უფლება, მისთვის უცნობი იყო გასაუბრებების შინაარსი. ამიტომ ის ეჭვქვეშ აყენებდა ექსპერტის პროფესიონალიზმს, კეთილსინდისიერებას და მის მიერ აღწერილი სურათის სისწორეს. მან ასევე გააკრიტიკა ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნა და აღნიშნა, რომ მასში მოყვანილი შეფასებები ეყრდნობოდა ჭორაობას მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი, რომ მიკერძოებული ან არაობიექტური ყოფილიყო. საბჭო სრულებით ენდობოდა ექსპერტებს. რაც შეეხება მშობლებისა და მოსწავლეების ინტერვიუირებას, ეს იყო სკოლის შემოწმების ერთ-ერთი მეთოდი. შესაბამისად, დასკვნის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი საბჭოს არ გააჩნდა. მითუმეტეს, რომ ვიზიტს ასევე ესწრებოდა ცენტრის წარმომადგენელი. შესაბამისად, საბჭო არ იზიარებდა სკოლის წამომადგენლის მიერ ექსპერტის შეფასებას. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარის შეფასებას.

სკოლის წარმომადგენელი ასევე შეეხო სწავლის დაწყების დროს და აღნიშნა, რომ მას უფლება ჰქონდა, როცა საჭიროდ ჩათვლიდა, მაშინ დაეწყო სწავლა, რაზეც საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ უპასუხა, რომ ამის უფლება მას ჰქონდა, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა ასახული ყოფილიყო სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამ ინფორმაციის არ არსებობა სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო უხეში დარღვევა.

სკოლის წარმომადგენელმა ექპსერტების მისამართით გააკეთა შენიშვნა, რომ მათ დაარღვიეს ექსპერტთა საქმიანობის წესით განსაზღვრული პროცედურები, რითაც გამოამჟღავნეს არაპროფესიონალიზმი.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი შაიშმელაშვილმა ითხოვა სიტყვა. საბჭოს თავმჯდომარის ნებართვის შემდეგ მან განაცხადა, რომ სკოლის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ინეზა იამანიძემ ექსპერტების მიერ ვიზიტის პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებით ცენტრში

წარმოადგინა 2 წერილი, რომლითაც იგი მოითხოვდა დასკვნის ბათილად ცნობას. მას წერილობით განემარტა, რომ ექსპერტების მიერ „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ცენტრი ხელმძღვანელობს ამავე დოკუმენტში გაწერილი პროცედურებით, რაც კავშირში არ არის საბჭოს სხდომის პროცედურასთან და გავლენას ვერ მოახდენს საბჭოს გადაწყვეტილებაზე. ცენტრის მიერ აღნიშნული პროცედურების განხორციელებამდე და გადაწყვეტილების მიღებამდე ცენტრის წარმომადგენელმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია ექსპერტების საქმიანობის წინასწარი შეფასება.
ცენტრის პოზიციას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და დაბეჯითებით სთხოვეს სკოლის წარმოადგენელს თავი შეეკავებინა ექსპერტების მიმართ შეურაცხმყოფელი რეპლიკების გაკეთებისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გრიგოლ მურღულიამ 19:40 წუთზე დატოვა სხდომა.

3.2. ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა № 21ბ , ბესარიონ ბელინსკის ქუჩა № 55.

შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმი ქვემოიჯარის უფლებით, ქვემოიჯარე შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერისუბნის ლიცეუმისგან აღნიშნულ მისამართზე ფლობდა პირველ და მეორე სართულზე 150.60 კვ.მ ფართს და 15.72 კვ.მ სარდაფს.

ექსპერტის თქმით, სკოლის ტერიტორიაზე სკოლის პარალელურად ფუნქციონირებდა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, თუ იყო სკოლის ფართი გამიჯნული აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრისგან. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფართი, რომელშიც სკოლა ახორციელებდა სასწავლო პროცესს, არ იყო გამიჯნული და ის ამაში პრობლემას ვერ ხედავდა. ფართის გამიჯვნის შესახებ არ არსებობდა არავითარი დოკუმენტი. საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ

ზემოაღნიშნული სტანდარტის უხეში დარღვევა იყო, რადგან ირღვეოდა მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე არ რჩებოდა საკმარისი ფართი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისათვის.

საბჭოს წევრმა, მანანა რატიანმა აღნიშნა, რომ სკოლის ფართზე მსჯელობისას უნდა ვიგულისხმოთ 49 მოსწავლისთვის სათანადო პირობების შექმნა, რადგან სკოლას სწორედ ამ კონტიგენზე ჰქონდა მიღებული ავტორიზაცია. მსჯელობისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის გარემოს აღნიშნული კონტიგენტისთვის.

ექსპერტის თქმით, ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის მოიაზრებდა შესასვლელიდან მეორე სართულზე ასასვლელ რკინის დასამონტაჟებელ პანდუსებს და მეორე სართულზე არსებულ 1 სველ წერტილს, რომელშიც ეტლით მოსარგებლე პირი ვერ შეძლებდა შესვლას, რადგან კარი ვიწრო იყო. სკოლის დირექტორის განმარტებით სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში მოხდებოდა მისი გაფართოება.

სკოლას სპორტული დარბაზი, აუზი, ან მოედანი არ ჰქონდა. დაწესებულებას სპორტის სახეობებიდან არჩეული ჰქონდა კალათბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი, მაგრამ სკოლა 3 საჭადრაკო დაფით პირობებს ქმნიდა მხოლოდ ჭადრაკის მეცადინეობებისთვის.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, თუმცა სამედიცინო კაბინეტი სკოლაში არ იყო. სკოლას არ ჰყავდა საშტატო განრიგით გათვალისწინებული ექთანი, ან ექიმი, ხოლო ვინც ჰყავდათ ხელშეკრულებით აყვანილი, მას კვალიფიკაცია არ უდასტურდებოდა, რადგან სკოლის დირექტორის თქმით, დიპლომი ჰქონდა დამწვარი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.3. ექსპერტ ლიანა კობესაშვილის განცხადებით, სკოლას ე.წ. საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავდა სკოლის დირექტორი, მოადგილე, 10 მასწავლებელი, დამლაგებელი, საქმისმწარმოებელი და ბუღალტერი. ბუღალტრის პოზიცია ვაკანტური იყო. ბუღალტრის ფუნქციებს ვიზიტის პერიოდში ითავსებდა დირექტორის მოადგილე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პირადი საქმეებიდან ირკვეოდა, რომ ოთხ მასწავლებელს

ჰქონდა მასწავლებლის სტატუსი, 4 მასწავლებელს უდასტურდებოდა კვალიფიკაცია იმ საგანში, რომელსაც ასწავლიდა. ჭადრაკის მასწავლებელისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პირადი საქმე (დიპლომები) სკოლამ ვერ წარმოადგინა. სკოლის დირექტორის განმარტებით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს პირადი საქმე სხვა სკოლაში ჰქონდა წაღებული. ამის მიზეზი იყო ის, რომ პედაგოგი პარალელურად სხვა სკოლაში ასწავლიდა და იმ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის გამო გახდა საჭირო პირადი საქმის წარმოდგენა.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლაში აუცილებელი იყო მასწავლებლის პირადი საქმის არსებობა და ასეთი შემთხვევებისთვის არსებობდა ნოტარიუსი, რომელიც დაადასტურებდა მასწავლებლის პირადი საქმის ასლების ნამდვილობას, ამიტომ არგუმენტი არ იყო მიღებული.

სკოლის დირექტორის თქმით, ჭადრაკის მასწავლებლის სერთიფიკატი უკვე იდო პირად საქმეში.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით დამატებით კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინეზა იამანიძის სავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნების და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ'' ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და

31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმს (ს/კ 404537391) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან ერთად შეაჯამა შპს ინეზა იამანიძის სავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებული ხარვეზების სიმძიმე და სიმრავლე, რამაც განაპირობა საბჭოს გადაწყვეტილება. მან ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტში არსებით დარღვევებზე, მატერიალურ სტანდარტთან დაკავშირებით შეეხო მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების გაუმართაობას, სპორტული ინფრასტრუქტურის არარსებობას. მან აღნიშნა ადამიანური რესურსის ნაწილში არსებული სერიოზული დარღვევები.

საბჭომ რეკომენდაციით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით დაუყოვნებლივ მოეხდინა მათი მშობლების ინფორმირება საბჭოს გადაწყვეტილების თაობაზე.

იმ ფაქტის გათვალისწინეით, რომ სკოლის ორივე მოსწავლეს ახლო მომავალში ჩასაბარებელი ჰქონდა სკოლის დამამთავრებელი გამოცდები, ხოლო ერთს ასევე ასაღები ჰქონდა საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 14 ივნისიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა 20:20 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

მანანა რატიანი

მდივანი

თამილა ჩუბინიძე